პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 126 (18668) | ხუთშაბათი, 2 ივნისი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 1983 წლის 4 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 2 და 3 ივნისს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონი: 99-08-54, 99-58-19, 93-78-07 და 99-56-18.

4 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1983 წლის 4 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

არვიდ იანის ძე პელშეს დაკრძალვა

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

მოსკოვი 1 ივნისს დაკრძალეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი არვიდ იანის ძე პელშე.

მეორე დღეა ძაძებშია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. აქ მაღალ კვარცხლბეკზე გვირგვინებსა და ყვავილებს შორის დადგმულია urna ა. ი. პელშეს ნეშტით, განსვენებულის კრემაცია მოხდა 31 მაისს ღამით.

ისევე, როგორც წინა დღეს, უწყვეტ ნაკადად მოდიან აქ მოსკოვისა და ოლქის ათასობით მშრომელი, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, რათა დიდი პატივისცემის გრძნობები გამოხატონ პარტიის ერთგული შვილისადმი, რომელმაც მთელი სიცოცხლე კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს მოახმარა.

საპატიო ყარაულში დგებიან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

10 საათია. განსვენებულთან გამოთხოვება წყდება, დარბაზში რჩებიან არვიდ იანის ძე პელშეს ნათესავები, ახლობლები, მეგობრები და თანამებრძოლები. დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები.

გაისმის სამგლოვიარო მელოდია. urna გამოაქვთ სვეტებიანი დარბაზიდან და დგამენ საარტილერიო ლაფეტზე. სამგლოვიარო კორტეჟი წითელი მოედნისაკენ მიემართება.

პროცესიის წინ მრავალი გვირგვინია. წითელი ატლასის ბალიშებით მოაქვთ ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა სამშობლოს წინაშე ა. ი. პელშეს დამსახურება.

წითელ მოედანზე შეკრებილან დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. აქვე, ტრიბუნებზე, არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, აქვე იმყოფებიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა შეთაურები.

მოედანზე მწყობრში გარინდულან ჯარის ქვეგანაყოფები. მათს კოლონებს საბრძოლო დროშები დაუხრიათ.

სამგლოვიარო პროცესია მავზოლეუმთან მივიდა; urna განსვენებულის ნეშტით კვარცხლბეკზე დადგეს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის მთავრობის კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

მან აღნიშნა, რომ ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არვიდ იანის ძე პელშე. ღარ ძგერს მგზნებარე ლენინელი კომუნისტის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, შესანიშნავი ადამიანის და დაუცხრომელი მებრძოლის გული, რომელიც მუდამ ურყევად ერთგულობდა ლენინის უკვდავ საქმეს.

ა. ი. პელშეს მთელი ცხოვრება დაკავშირებულია ლენინის პარტიის დიად მიღწევებთან, საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითს შრომასთან, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლასთან. მისი ცხოვრების გზა პარტიის, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის მაგალითია.

პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა პოსტზე ა. ი. პელშე მთელ ძალ-ღონეს, მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას აბმარდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეალებისადმი უანგარო სამსახურს. მან შეიტანა წვლილი პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, პარტიული კონტროლის ორგანიზაციასა და განხორციელებაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში. ა. ი. პელშე აქტიურად მონაწილეობდა მომზე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ურთიერთობის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში.

მრავალ წელს ა. ი. პელშე შრომობდა მოსკოვში. მას მუდამ აინტერესებდა დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრება, მისი ეკონომიკის განვითარება, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, ეხმარებოდა პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს მუშაობაში.

იგი გამოირჩეოდა პარტიის საქმის სიმართლის მტკიცე რწმენით, ბოლშევიკური პრინციპულობით, მაღალი მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და თანამოსაქმე ამხანაგებისადმი. იგი იძლეოდა მაღალი პარტიულობის, ორგანიზებულობის, მუშაობაში ლენინური სტილის ნმუნეს.

დაუცხრომელი ნაყოფიერი მოღვაწეობთან, თავდადებული შრომით, უბრალოებითა და თავმდაბლობით, ადამიანებისადმი ყურადღებიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით ა. ი. პელშემ დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვა პარტიასა და ხალხში. სამშობლომ დიდად დააფასა არვიდ იანის ძის დამსახურება პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. მას ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის მრავალი ორდენითა და მედლით.

მძიმე და სამწუხაროა გამოთხოვება არვიდ იანის ძესთან. მწუხარებით არის აღსავსე ჩვენი გული. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს. ვებით რა ა. ი. პელშეს, ჩვენ ვამბობთ, რომ დავიცავთ და ვამრავლებთ ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებს. ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ საქმეს, რომელსაც მან მთელი სიცოცხლე შეალია —კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ვ. ვ. გრიშინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არვიდ იანის ძე პელშეს ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი. ამ გლოვის ჟამს, თქვა მან, საბჭოთა კომუნისტები, სამშობლოს მშრომელები დიდი მწუხარებით ეთხოვებიან ბოლშევიკ-ლენინელ ერთ-ერთ გმირული კოპორტის ერთ-ერთ უხუცეს წარმომადგენელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ა. ი. პელშეს.

ჭაბუკობიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ა. ი. პელშემ მთლიანად მიუძღვნა თავისი თავი ლენინური პარტიის საქმისადმი სამსახურს. მის რიგებში იგი 1915 წელს შევიდა, პარტიასთან ერთად განვლო გმირული ბრძოლისა და აღმშენებლობის უმაგალითო გზა — ზამთრის სასახლის შტურმიდან დღევანდლამდე. შეუყდა კომუნისტის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, მშვიდობისა და სოციალიზმის იდეალებისათვის ბრძოლა. ყდმ უსაზღვროდ ერთგული, უალრესად გულითადი, მაღალი პრინციპულობისა და სიმტკიცის, თეორიულად ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის გულისცემა.

ა. ი. პელშე შეურიგებელი იყო პარტიული ეთიკის დარღვევებისადმი, აქტიურად იბრძოდა ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაძლიერებისათვის. იგი დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ კადრების შერჩევა და განაწილება განუხრელად არის დაკავშირებული მაღალი იდეურობისა და კომუნისტური მორალის ადამიანთა აღზრდისათვის გაწეულ მუშაობასთან. ამას შეალია მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მოღვაწეობის წლები.

დაუცხრომლად უწევდა რა პროპაგანდას ლენინის მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიის შესახებ, იგი ახორციელებდა მუშაობის ლენინურ სტილს, პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს. მის კალამს ეკუთვნის პარტიული მშენებლობისადმი და უწინარეს ყოვლისა, პარტიული კონტროლისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

ა. ი. პელშე ჩვენს ხსოვნაში დარჩება როგორც თანამიმდევარი ინტერნაციონალისტი და სოციალისტური სამშობლოს პატრიოტი. იგი ყოველთვის მგზნებარედ იცავდა საბჭოთა ხალხის — ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების ამ ახალი ინტერნაციონალური და სოციალური ერთობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობისათვის, პლანეტის ყველა ხალხის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის. დიდი ძალ-ღონე შეალია ა. ი. პელშემ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში მუშაობას, მონაწილეობდა რა მოძმე პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრებში, მათი ყრილობების მუშაობაში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კომუნისტები, პროგრესული საზოგადოებრიობა, მშრომელები მას კარგად იცნობენ როგორც ბრთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ყველა მშრომელი ადამიანის უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ა. ი. პელშე, იგი ყველგან პრინციპულად და თანამიმდევრულად ახორციელებდა კომუნისტური პარტიის გენერალურ გეზს, მთელ თავის ძალ-ღონესა და უმდიდრეს გამოცდილებას ახმარდა მის დიად საქმეს და აქტიურად მონაწილეობდა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აღმშენებლობასა და სრულყოფაში.

ა. ი. პელშეს ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა კომუნისტის, საბჭოთა პატრიოტისათვის სამშობლოს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია.

მიტინგს მონაწილეებს „პართავს ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. ვოსი. ჩვენთვის, ლატვიის სს რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელისათვის, ეს დანაკლისი განსაკუთრებით მძიმეა, თქვა მან. ა. ი. პელშეს სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ლატვიის ისტორიის ბევრი ბრწყინვალე ფურცელი. აქ დაიბადა იგი, აქვე ჯერ კიდევ ჭაბუკი შეეიდა ბოლშევიკთა პარტიაში, დადგა თვითმპყრობელობის, ძველი წყობილების შავბნელი ძალების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზაზე. ათიათასობით ლატვიელ წითელ მსროლელთან ერთად არვიდ იანის ძე აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის მომზადება-მოწყობაში, მისი მონაპოვრების შეიარაღებულ დაცვაში. იგი მამაცურად იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ არვიდ იანის ძე 25 წლის მანძილზე ნაყოფიერად შრომობდა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე და დაუცხრომლად ზრუნავდა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

ყველა უბანზე, სადაც პარტია გზავნიდა არვიდ იანის ძეს, იგი შრომობდა დაუშრეტელი ენთუზიაზმითა და გერგილიანობით, დიდი პასუხისმგებლობით.

პარტიულმა პრინციპულობამ, უდიდესმა შრომისმოყვარეობამ, ადამიანებთან მჭიდრო კავშირმა, მზადყოფნამ ყოველ წუთს გამოხმაურებოდა მათს თხოვნასა და მოთხოვნილებებს, თავმდაბლობამ და უბრალოებამ, პირადი მთხიბვლელობამ და დიდბუნებოვნებამ არვიდ იანის ძეს მოუპოვა დამსახურებული ავტორიტეტი და საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემა.

ლაპარაკობს მოსკოვის ჩარხსაშენებელი ქარხნის „წითელი პროლეტარის“ მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ი. ი. მალცევი. ღრმა მუხარებით აღიქვეს მოსკოვის კომუნისტებმა, ყველა შრომელმა არვიდ იანის ძე პელშეს გარდაცვალების ამბავი, აღნიშნა ორატორმა. კარგად იცნობდა რა მუშებს, იგი ცხოვრობდა მათი ინტერესებით, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ყოველივე ახალს, რაც მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებში იბადებოდა. ამ მწუხარების ჟამს აღვუთქვამთ პარტიას, რომ მოსკოვის მშვიდობიანი კვლავაც თავდადებული შრომით განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, დაუცხრომლად იბრძოლებს კომუნიზმის იდეალებისათვის, რომელთა განხორციელებას მთელი თავისი ნათელი ცხოვრება შეალია არვიდ იანის ძე პელშემ.

სამგლოვიარო მიტინგი დახურულად ცხადდება. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჩამოდიან ტრიბუნიდან. ისინი იღებენ urnას და მიემართებიან კრემლის გალავნისაკენ.

ა. ი. პელშეს ნეშტიან urnას დგამენ ნიშაში, რომელსაც აფარებენ მემორიალურ ფილას. მასზე წარწერილია:

არვიდ იანის ძე პელშე
7
18———99
II
29
19———83
V

ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპები. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

საზეიმო მარშით მიაბიჯებენ ჯარის ქვეგანაყოფები. საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები უკანასკნელ მხედრულ პატივს მიაგებენ არვიდ იანის ძე პელშეს, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა სოციალისტურ სამშობლოს, ლენინის დიად საქმეს. (საკდესი).



ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სამგლოვიარო პროცესია მიემართება კრემლის გალავნისაკენ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სომხური თეატრის განახლება

125 წელი უსრულდება თბილისის ს. გ. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრს. ამ თეატრს დიდი ტრადიციები აქვს, იგი საქართველოს სომეხ მოსახლეობას შორის პროპაგანდას უწევს მსოფლიოს, რუსულ, სომხურ და ქართულ კლასიკურ ნაწარმოებებს, საბჭოთა დრამატურგიას.

ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს თეატრის შენობის კაპიტალური შეკეთება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა უკვე დაამთავრეს ფოიეში მარმარილოს იატაკის დაგების, სახურავის, შიდამოპირკეთების შეცვლის სამუშაოები. დაიდგა ახალი სასცენო მოწყობილობა. მეტი მოზრდილი პირობები ექნებათ მსახიობებსა და მაყურებლებს.

თეატრის რემონტის მიმდინარეობას გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მან მაღალი შეფასება მისცა სამუშაოთა ხარისხს, აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი ამ საქმეში.

თეატრის წარმომადგენლებთან და შემკეთებლებთან საუბრის დროს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრს, რომლის შემოქმედებითს კოლექტივს დიდი წვლილი შეაქვს ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის განვითარებაში, სომეხი და ქართველი ავტორების ნაწარმოებთა მაყურებლებისათვის ფართოდ გაცნობაში, ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა თეატრის საქმიანობას, რომელიც საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ესთეტიკური აღზრდის დიდი ცენტრი, კულტურის კერაა. ყოველივე ეს, თქვა მან, ამაღლებს ყველა იმათ პასუხისმგებლობას, ვინც მონაწილეობს თეატრის შენობის განახლებაში, სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის, მისი ვადების დაცვისათვის.

თეატრის იუბილე, რომელიც განახლებულ შენობაში აღინიშნება, ქართველი და სომეხი ხალხების, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობის ნამდვილი დღესასწაული უნდა გახდეს.

თეატრის მუშაკებმა მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას სომხურ თეატრზე, თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე ზრუნვისათვის.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად აქ იყვნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი.

ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ი. იაკობაშვილი და თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. გ. მირველიანი.

(საქინფორმი)

დამზადებულია იტალიაში

სოფელ წეროვანში საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში გაიმართა სიმპოზიუმი და იტალიური ფირმების „გოლდონის“, „რუჯერინის“, „ეკმეს“, „ლომბარდინის“, „ბიჩიესისა“ და „ომპპის“ მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნიმუშების გამოფენა.

სიმპოზიუმი გახსნა საკავშირო გაერთიანების „ლიცენზინტორგის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ბ. ზაკამსკმ. მან ალაპარაკა იტალიურ ფირმებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობაზე.

იტალიის ფირმების წარმომადგენლებმა ლექციები წაუკითხეს სიმპოზიუმის მონაწილეებს, უნვენეს თავიანთი პროდუქციის ახალი ნიმუშები.

იტალიის ფირმების მიერ დამზადებული მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნიმუშების გამოფენას ეწვივნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ვ. კოლბინი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია. მათ დაათვალიერეს ექსპონატები, დაინტერესდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ძრავების ხარისხით.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა იტალიის ფირმების წარმომადგენლებს, უსურვა მათ წარმატებანი საქმიანობაში.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. მიშკოვი, საკავშირო გაერთიანების „ლიცენზინტორგის“ გენერალური დირექტორი ბ. კურაკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქსოფლმანქანის“ გენერალური დირექტორი ბ. ჭყონია.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

პირველ ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო იტალიის მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფირმების იმ სიმპოზიუმისა და გამოფენის მონაწილეები, რომლებიც მოეწყო სოფელ წეროვანში საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

ამხ. ჩერქეზიამ აღნიშნა ინტერესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენისადმი, რომელიც კიდევ ერთი რგოლი ვახდა საბჭოთა კავშირისა და იტალიის თანამშრომლობაში. მან დადებითად შეაფასა იტალიის ფირმების მისწრაფება საბჭოთა კავშირთან და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისადმი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებას იტალიის ფირმებთან, რომლებიც მცირეგაბარიტიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას აწარმოებენ.

„გოლდონის“ ფირმის დირექტორმა ლ. გოლდონმ, „რუჯერინის“ ფირმის კომერციულმა დირექტორმა ვ. მალვეცინ, „ომპპის“ დირექტორმა რ. ფერუჩიმ და „ეკმეს“ ფირმის წარმომადგენელმა ა. ბომოტომ მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც საქართველოში გაუწიეს, გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შემდგომი განვითარება კარგ ნაყოფს გამოიღებს. მზად ვართ ვითანამშრომლოთ თქვენთან ეკონომიკის ყველა დარგში, ხაზგასმით აღნიშნეს მათ.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. მიშკოვი, საკავშირო გაერთიანება „ლიცენზინტორგის“ გენერალური დირექტორი ბ. კურაკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქსოფლმანქანის“ გენერალური დირექტორი ბ. ჭყონია. (საქინფორმი)

დაე, მუდამ იყოს მზე!

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა თბილისში გამართული საზეიმო სხდომა, რომლის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ყოველი ბავშვის ბედნიერი მომავლისათვის, დაიცვან მშვიდობა, არ დაუშვან ომი. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, რომლებიც 1 ივნისს შეიკრიბნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, აღნიშნეს, რომ მხოლოდ მშვიდობიან პირობებში შეიძლება მოზარდი თაობის სრულფასოვანი განვითარება, ჰარმონიული აღზრდა და განათლება.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალაქის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ყვანიამ.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის დაუოლავ ზრუნვაზე, სამშობლოს ყველაზე პატარა მოქალაქეებისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს ყურადღებაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში მუშამ და პედაგოგმა, მეცნიერმა და მრავალშვილიანმა დედამ, პოეტმა და პროზაიკოსმა, კომკავშირულმა მუშაკმა.

ბედნიერი ბავშვობისათვის, ლენინური პრინციპის — „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“ — თანამიმდევრული განხორციელებისათვის გულწრფელი მადლობის სიტყვებით მიმართეს დამსწრეთ ქალაქის ყველაზე ნორჩმა მოქალაქეებმა.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ვენახებს — შეუნელებელი ყურადღება

ვენახებში არსებული მდგომარეობა იყო თელავში გამართული ზონალური თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში.

ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ჯინჭარაძემ. თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ახმეტის, საგარეჯოს, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ დღეისათვის ლიკვიდირებულია ჭრაქით დაავადების კერები, შეჩერებულია ვაზის მავნებელთა გავრცელება. სპეციალური პრეპარატებით უკვე დამუშავებულია ორმოცდაათი ათას ჰექტარზე მეტი ზვრები, რის მეოხებითაც თავიდან აცილებულია ვენახების მასობრივი დაზიანება.

კარგად მოუარეს ვენახებს გურჯაანის რაიონის სოფლების ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ვალისციხის, ვეჯინის, ჭანდრის, არაშენდისა და ზოგიერთ სხვა მეურნეობაში, წითელწყაროს რაიონის სოფლების ზემო ქედისა და არახილოსკალოს, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევისა და მაღაროს, თელავის რაიონის ბუშეტის, ვანთის, სანიორის, ლაგოდეხის რაიონის აფენის, ლელიანის, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის, თოხლიაურის, მანავის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ არის საქმეები ყვარლისა და ახმეტის რაიონების თითქმის ყველა მეურნეობის ზვრებში.

ამავე დროს თათბირზე დასახელეს ის მეურნეობანიც, სადაც ვაზის მოვლა-პატრონობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის პატარძეულისა და ნინოწმინდის კოლმეურნეობებში მომრავლდა სარეველები, ვაზი არ შეუწამლავთ. მთლიანად არ არის დამუშავებული ვენახები სიღნაღის რაიონის სანერგე მეურნეობაშიც, კახეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჯერ კიდევ დიდია ახალშენი ვენახების სიმეჩხერე. მაისის შუა რიცხვებში თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში ძლიერი სეტყვა მოვიდა. სეტყვისაგან განსაკუთრებით დაზარალდა გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონების მეურნეობათა ზვრები. ეს მოითხოვს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაზე საოვის ძალთა დარაზმვას. არ უნდა დავუშვათ მოსავლის დანაკარგები, დროულად და ვადებში განვახორციელოთ აგროტექნიკური ღონისძიებანი, ზუსტად შეასრულოთ მეცნიერთა რეკომენდაციები.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ლ. ზაქაიძემ. (საქინფორმი).

პირველადი ორგანიზაცია-პარტიის საფუძველი

„კომუნისტის“ დღევანდელი ტრადიციული გვერდი გვაცნობს საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების სისხლსავსე ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

თანდათან გეგმიანი და მიზანდასახული ხდება თითოეული ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა.

უფრო ქმედითსა და საგნობრივ ხასიათს იძენს ჩატარებული ღონისძიებები.

ყველგან და ყველაფერში იგრძნობა გადასაჭრელი პრობლემებისადმი სისტემური შემოქმედებითი მიდგომა, სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის ერთიანობისაკენ სწრაფვა.

ეს არც არის გასაკვირი.

იზრდება თანამედროვეობის მოთხოვნები.

ის, რაც გაკეთდა გუშინ და კეთდება დღეს, საკმარისი აღარ არის ხვალისათვის.

სახვალიო ამოცანები კი ნათლად გამოიკვეთა პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური განმტკიცების თაობაზე თბილისში გამართულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

ამ დღეებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ განიხილავენ კონფერენციის შედეგებს, სახავენ მისი რეკომენდაციების უთუოდ შესრულების გზებსა და საშუალებებს.

ახლა გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს მოწინავე გამოცდილება, სასარგებლო სიახლენი, რომელთა შესახებ დამაჯერებლად ლაპარაკობდნენ ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კონფერენციის მონაწილენი.

გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ სრულყოთ და გავამდიდროთ ჩვენივე საკუთარი გამოცდილება, ყოველივე სასიკეთო, რაც ორგანიზატორულ საქმიანობაში დამკვიდრდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის“ ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში“ და რამაც ჩვენი სტუმრების შეუნელებელი ყურადღება დაიმსახურა.

ახლა მთავარია ავამაღლოთ პირველადის როლი და ავტორიტეტი, თითოეული შრომითი კოლექტივის პასუხისმგებლობა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, ყოველმხრივ განვამტკიცოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ერთი სიტყვით, გადამწყვეტია განვეწყოთ ახალი დიდი საქმეებისათვის, როგორც იტყვიან, წარმოგვაჩინოს საქმემან ჩვენმა.

ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲝᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

თერჯოლის რაიონის პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლისათვის ქ. ვორონეჟის სამრეწველო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებას.

ამის დამადასტურებელია ის, რომ რაიონში პარტიული კონტროლი უფრო ქმედითი და საგნობრივია. მაგალითად, „სამტრესტის“ თერჯოლის ღვინის კომბინატის პარტორგანიზაციის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე გეგმაზომიერად ისმენენ უფროსი ოსტატების, ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, კრიტიკულად აფასებენ ვითარებას.

მონდომებული საქმიანობით გამოირჩევა ტექნიკის რაციონალური გამოყენების კომისია, რომელმაც საანგარიშო პერიოდში ჩატარა ხუთი სხდომა და დირექციის წინაშე ბევრი მწვავე საკითხი დააყენა. ამ გზით ოპერატიულად მოწესრიგდა ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნების სეზონი დანადგარების, ნარჩენების სახდელი აპარატების, ავტოტრანსპორტის მუშაობა. მოგვარდა მანქანა-მოწყობილობათა დროზე და ხარისხიანად შეკეთების საქმეც. კომისიის რეკომენდაციით ვარგის

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, ენგურჰესის მშენებლობა, ჩაის საწნები ფაბრიკა, სარემონტო-მექანიკური ცომბინატი, ფაიფურის ქარხანა... შეგვეძლო ჩამოგვთვალა ქალაქ ზუგდიდის სხვა საწარმოები, სადაც ქართველების მხარდამხარ მუყაითად საქმიანობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს ინტერნაციონალური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის. ამ საქმის კოორდინაციისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია „სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საბჭო, რომელიც წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად წარმართავს თავის საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მარქსზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრების, საერთაშორისო კომუნისტიური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა საქმიანობის, სოციალისტური ქვეყნებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ისტორიის, მათი რევოლუციური ტრადიციების გაცნობასა და შესწავლას. აღსანიშნავია პროპაგანდისტების ც. ქირიას, თ. ციმინტიას, ა. თოლორაიას, ს. ვეკუას, ზ. დოლიძის, ე. ჟეპკოს, ნ. შუბინის და სხვათა საქმიანობა, რომლებიც მსმენელებს აცნობენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ პიღწევებს, არამედ მათი ხალხის ადათ-ჩვევებს, ტრადიციებს.

წარმოება-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ტარდება ლექციები, თეორიული კონფერენციები, თემატური საღამოები და სხვა ღონისძიებები ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე. პოლიტინფორმატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის ჩატარდა ლექცია თემაზე — „თითოეული ჩვენგანის უმთავრესი ინტერნაციონალური მოვალეობა“, თეორიული კონფერენცია — „მეგობრობა ჩვენთვის ყველაფერია“.

სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ძმობა და მეგობრობა იწრთობა შრომითს კოლექტივში, უშუალოდ კაშხალთან თუ დაზგასთან, ყოველდღიურ ერთობლივ საქმიანობაში. მაგალითად, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის წინსვლას ამაგი დასდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებმა. მშენებლობის დროს აქ ეზიდებოდნენ ურალის რკინასა და აზერბაიჯანის ნავთობს, აქ შრომობდნენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და მოლდაველები. კომბინატის ახალგაზრდობა წარმოებისაგან მოწყვეტლივ იღებს განათლებას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად, ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ა. ესებუა, ა. ბელქანია, ვ. კვარაცხელია, ვ. ბახტაძე, ვ. ნაბავა, ნ. ციცეშვილი და მრავალი სხვა კომბინატის თვალსაჩინო სპეციალისტები გახდნენ.

კომბინატის პროდუქცია სარეალიზაციოდ მიდის ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკებში, შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში. თვითონ საწარმო კი საზზრდოობს სვერდლოვსკიდან, კრასნოიარსკიდან და სხვა ქალაქებიდან შემოზიდული ნედლეულით.

მრავალტრაფიანი გაზეთის „ენგურის მუშის“ რედაქციის კონტაქტები აქვს ტვარდოვსკის, კალინინგრადის, კამსკის ქაღალდის კომბინატების მრავალტირაჟიან გაზეთებთან. დანერგილია გაზეთების გვერდების გაცვლა, შემოღებულია რუბრიკა „მომძე რესპუბლიკების მოწინავე საწარმოების გამოცდილება — ჩვენს კომბინატს“.

ენგურჰესის მშენებლობა ადამიანთა აღზრდის უნიკალური სკოლაც გახდა. აქ 22 წელზე მეტია 40-მდე ერისა და ეროვნების ადამიანი თავდადებით იღვწის ენგურის დიდი სინათლისათვის. ენგურთან ჭიდილში თვიანთი საგმირო საქმეები გამოიჩინეს რუსმა ალექსანდრე ოლეინიკოვმა, ესტონელმა იანას მიკულინასმა, უკრაინელმა სლავა ბაიჩუკმა, ქურთმა ვლადიმერ დომოიანმა... სწორედ ძმურმა სიყვარულმა შეაძლებინა ურალელ მშენებლებს ენგურზე ჩამოეტანათ მაბიჯი ექსკავატორი. თხუთმეტკაციანი ეკიპაჟი სოციალისტური შრომის გმირის ვლადიმერ ხალმატოვის მეთაურობით მთელი ოთხი წელიწადი ჭრიდა მდინარე ენგურის სადინებელ არხს ერისწყლის ხეობაში...

ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ

მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ ენგურჰესელებს ნურეკჰესის მშენებლებთან. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ენგურსა და ნურეკზე დიდი შუქის აკაშკაშების ხანარული ერთად გაიზარეს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტერნაციონალურ აღზრდას ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სკოლისგარეშე სამუშაოებში, ყველა ეროვნების ბავშვებში.

სკოლებში ჩამოყალიბებულია ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, რომელთა წევრები აფართოებენ მეგობრობის მერიდიანებს. აღსანიშნავია ქალაქის პიონერი, მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეათე, მეთხუთმეტე საშუალო სკოლების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთა მეგობრობა როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ასევე გერმანელ, უნგარელ, პოლონელ, ბულგარელ, იუგოსლაველ თანატოლებთან. მუშაობის პრაქტიკაში დანერგილია საღამოების, მანიფესტაციების, თეორიული კონფერენციების, დისპუტების, ვიქტორინებისა და საინტერესო შეხვედრების ჩატარება. ...ზუგდიდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაქსიმ გორკის თანამედროვე და მეგობარი, მწერალი ალექსანდრე სიტინი. სწორედ აქ შექმნა მან რომანი „ტიან-შანელი კონტრაბანდისტები“ და აქვე დაიწყო მხატვრული ნაწარმოების წერა ქართველ მეთევზეთა ცხოვრებაზე. თუმცა მისი დასრულება ვეღარ შეძლო. ზუგდიდელმა საზოგადოებამ იგი მიაბარა ქართულ მიწას. ახლა მწერლის საფლავს მზრუნველობას ზუგდიდელნი არ აკლებენ ქალაქის პიონერები.

შარშან პირველ საშუალო სკოლას ესტუმრნენ ჩეხი და გერმანელი ინკინერები, უკრაინელი მეცნიერები, ლეგენდარული კოვპაკელები. ჩატარდა საღამო თემაზე: „ქართველი და რუსი ძმადნაფიცები“. მეორე საშუალო სკოლა მასპინძლობდა უნგრეთის ქალაქ სეგედის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს. უნგრელი ნორჩები გაეცვნენ ქართულ ადათ-წესებს, ისინი ახლაც არ წყვეტენ კავშირს ზუგდიდელებთან.

ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოცეკვავეთა ანსამბლმა მეგობრული კონცერტებით უკვე მოიარა ევროპის სოციალისტური ქვეყნები. „ევროპის ბედნიერ ბავშვთა“ ბელგრადის ფესტივალიდან ანსამბლი ლაურეატის წოდებით დაბრუნდა. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოდიში“ კი მოკლე ხანში თავისი მრავალფეროვანი ინტერნაციონალური რეპერტუარით წარსდგება მაყურებლის წინაშე.

შთამბეჭდავი იყო სსრ კავშირის 60 წლისთავის ზეიმის დღეებში ქ. მოსკოვის მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლ „კოლხიდას“ სტუმრობა ზუგდიდელ თანატოლებთან. სტუმრებმა ჩინებულად შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები. ზუგდიდელმა პიონერებმა სპასუხო მიწვევით ქ. მოსკოვი მოიარეს.

შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა მეგობრობის თემას მიუძღვნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია — „კავშირი გულთა შორის“.

ქალაქის ქორეოგრაფიულ-მუსიკალურ საზოგადოებასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ საგასტროლოდ ნამყოფია ევროპის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში. იგი წელს მიწვეული იყო ბულგარეთში მეგობრობის ზეიმზე. ანსამბლს მეგობრული ურთიერთობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების ხალხური სიმღერისა და ცეკვის კოლექტივებთან, თავის რეპერტუარში შეაქვს მომძე ხალხთა ცეკვები და სიმღერები, კოსტიუმტანტებად იწვევენ ქორეოგრაფებს.

ინტერნაციონალური მეგობრობის დიდი სახალხო ზეიმია ყოველი წლის შემოდგომაზე ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის დღესასწაული სოფელ რუხში.

ახალი „ბეჭოური ტრადიციებისა“ და „წეს-ჩვეულებების დანერგვის საბჭოს თოსნობით უკვე ტრადიციად იქცა გორკის, წერეთლისა და რუსთაველის ქუჩების ზეიმი, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან.

შარშან ჩატარდა კინოსტუდია „ლენფილმის“ და „მოსფილმის“ დღეები, მოეწყო შეხვედრები გამოჩენილ მსახიობებთან და რეჟისორებთან.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მზადების პერიოდში ეწყობა სემინარები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, შემუშავებულია ღონისძიებათა ფართო პროგრამა. ქალაქში იგრძნობა საზეიმო განწყობილება, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რუს ხალხთან დამოყვრებისადმი მიძღვნილმა ზეიმმა ნამდვილი სახალხო ხასიათი მიიღოს.

მთელ ამ მუშაობას გეგმაზომიერად ხელმძღვანელობს ბარეთაველ ქალაქ კომიტეტის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის სამმართველო, რომელიც შრომითი კოლექტივებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით განაგრძეტ ძმობისა და მეგობრობის დიდებულ ტრადიციებს.

ბ. ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

მეთერთმეტე ხუთწლედის ეს შუაგული წელი კარგად დაიწყო თბილისის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კოლექტივმა. პროდუქციის მოცულობის პირველი კვარტალის გეგმა აქ 109 პროცენტით შესრულდა. წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოს კომუნისტებს.

ამ სურათზე კომუნისტთა ერთი ჯგუფია გამოსახული — № 6 ამწყობი საამქროს ამწყობი ე. მალიანი (მარცხნიდან), კონტროლიორი ზ. მარგიევა, ამწყობები გ. ტიგინაშვილი და გ. კოჩიეკი.

თ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

სამხრეთ ოსეთის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებში ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საამოსოდ სულ უფრო საინტერესო ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ. მაგალითად, მშრომელები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ „ღია წერილის დღისა“, რომელიც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა მოაწყვეს. ამ ღონისძიების ოთხასზე მეტი კაცი დაესწრო. მშრომელთა კითხვებზე პასუხის გასაცემად მოწვეული იყვნენ საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელები, პროფესიადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, სახალხო კონტროლიორები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, საოლქო და საქალაქო უწყებათა ხელმძღვანელები. მათ უპასუხეს სხვადასხვა ინსტანციაში შესულ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებში აღძრულ საკითხებს, აგრეთვე „ღია წერილის დღის“ მსვლელობაში შემოსულ კითხვებს. მშრომელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საბინაო-კომუნალური მომსახურების, ქალაქის კეთილმოწყობის, მშენებლობის საკითხებით.

„ღია წერილის დღეში“ მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა.

გ. ᲗᲝᲓᲝᲔᲕᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲘᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. ამას წინათ „პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს № 2 სამშენებლო სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ანგარიში პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის მდგომარეობის შესახებ.

სამმართველოში მთავარ პრობლემად გეგმების შესრულება რჩება. ამის თაობაზე პარტიულმა ორგანიზაციამაც მრავალჯერ იმსჯელა, მაგრამ განხილული საკითხი მოკლებულია სიღრმეს, ნათლად არ ასახავს პრობლემების გადაწყვეტის გზებს. ამიტომაც არის, რომ მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე შინაპარტიული ინფორმაცია.

პარტიული კრებების მომზადება-მოწყობის საქმეში ნაკლოვანებებისათვის და სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული მომთხოვნლობის შესუსტებისათვის № 2 სამშენებლო სამმართველოს პარტბიუროს მდივანს ბ. ბაზაძეს მიეთითა, დაისახა მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების ღონისძიებანი.

Ზ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

როგორ შევადგინოთ დოკუმენტი?

Ი. Გ. ᲖᲐᲮᲐᲠᲘᲐ

დოკუმენტებზე მუშაობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში

1983

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ძალზე სასარგებლო საქმე გააკეთა: ქართულ ენაზე გამოსცა პარტიული მუშაობის ოლეგ ზახაროვის წიგნი „დოკუმენტებზე მუშაობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში“.

წიგნის ავტორი განაზოგადებს დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა. წიგნი ატარებს საცნობარო ხასიათს და აშუქებს დოკუმენტებზე მუშაობის ისეთ მხარეებს, როგორიცაა პარტიაში მიღების გაფორმება, დოკუმენტების აღრიცხვა, პარტიული მუშაობის დაგეგმვა, საწევრო შესატანის მიღება, კომუნისტების პერსონალური საქმეების განხილვა, მშრომელთა წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობა. გამოცემის გადამუშავებისას ავტორი ხელმძღვანელობდა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მასალებით.

ვფიქრობთ, ო. ზახაროვის ნაშრომს ინტერესით გაეცნობა ჩვენი რესპუბლიკის ფართო პარტიული აქტივი.

ᲝᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

სხდომაზე—ყოველკვირეულად

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა განიხილა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობის საკოორდინაციო შტაბის ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

შტაბის შემადგენლობაშია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ორგანიზაციათა, დიდ სამრეწველო და სამშენებლო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და კონტროლის ორგანოების მუშაკები, სულ 11 კაცი. კომისიას თავმჯდომარეობს პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ზ. ნამიჩიშვილი. შტაბი მუშაობას წარმართავს გეგმის მიხედვით.

სხდომებზე ყოველკვირეულად იხილავენ რკინიგზის ვაგონების მოცდენების საკითხებს, ოპერატიულად წყვეტენ პრობლემებს. რკინიგზის სადგური შტაბს ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის ქალაქის საწარმოების მიერ მიღებული რკინიგზის ვაგონების გადმოტვირთვის მდგომარეობაზე. ასევე სათანადო ყურადღება ეთმობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციების მუშაობას. მარტო 1982 წელს და მომდინარე წლის პირველ კვარტალში შტაბის სხდომებზე განიხილეს 32 საკითხი.

ყურადღებას იპყრობს მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების, ქალაქის წარმოება-დაწესებულებების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიზნობრივად გამოყენების, შეუფერხებელი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფისა და სხვა საკითხები. მაგალითად, მოისმინეს მაცივარკომბინატისა და შპალსაყრელნი ქარხნის დირექტორების შ. ელიაურისა და შ. კაკაურიძის ინფორმაციები რკინიგზის ვაგონების ზენორმატიული მოცდენების შემცირებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე ბამბეულის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილის ზ. ბიჩინაშვილის და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოო წარმოწყების დირექტორის ვ. ჭანკოტაძის ანგარიშები კონტეინერების გამოყენების თაობაზე.

საკოორდინაციო შტაბის მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებებიც. იგი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საკითხების ღრმა შესწავლას, რიგ შემთხვევაში სუსტია კავშირი საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, ყოველთვის სათანადოდ არ რეაგირებენ ამა თუ იმ დარღვევაზე. ამის შედეგია ის, რომ იანვარ-თებერვალში ქალაქის საწარმოებმა მოაცდინეს 587 ვაგონი, გადახდილი ჯარიმების თანხამ 10,2 ათასი მანეთი შეადგინა, მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს კავშირგაბმულობის კვანძის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

ᲛᲡ ᲡᲐᲜᲛᲔᲡᲓᲔᲒᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

პარტიის თელავის რაიკომი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს პარტიული საწევრო შესატანის მიღებისა და ანგარიშების საქმეს. ამის შედეგია ის, რომ პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობა ზუსტად იცავს საწესდებო მოთხოვნებს, უზრუნველყოფს საწევროს დროულ მიღებას, გეგმაზომიერად იხილავს აღნიშნულ საკითხებს კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე.

მაგრამ ზოგიერთ პარტორგანიზაციას კვლავ დაგვიანებით შეაქვს შემნახველ სალაროში საწევრო შესატანი. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში ხუთმა, ხოლო თებერვალში შვიდმა ორგანიზაციამ მომდევნო თვეში შეიტანა საწევრო. მსგავსი ნაკლოვანებები ხშირია წყალთა სასისტემო სამმართველოსა და 127-ე პროფტექნიკური სასწავლებლის პარტორგანიზაციებში.

საწევროს უწყისების სწორად შევსებას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ წინდების საქსოვი ფაბრიკის, ყარაჯლის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობისა და რუსპირის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები.

პარტიის თელავის რაიკომმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა ღონისძიებები ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

ᲠᲝᲒᲝᲐ ᲒᲐᲓᲐᲜᲘᲭᲕᲛᲢᲘᲚᲓᲒᲐ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲕᲘᲐ

ᲡᲝᲤᲔᲚ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტი და გამგეობა საკადრო საკითხების წყდაწყვეტის დროს ხშირად იჩენენ აჩქარებას, იღებენ არასწორ გადაწყვეტილებას. მარტო 1981-1982 წლებში ბათავისუფლებულია ან ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანილია 79 მუშაკი. საკმარისია ითქვას, რომ ერთი წლის მანძილზე ოთხი მთავარი აგრონომი შეიცვალა.

1981 წლის აგვისტოში კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე ვ. ალადაშვილი გათავისუფლეს თანამდებობიდან და მის ადგილზე დანიშნეს მეფერმეობის ფერმის გამგე ჯ. კირვალიძე, რომელიც აშკარად ვერ ართმევდა თავს მინდობილი უბნის ხელმძღვანელობას. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ერთ დროს მოწინავე ფერმამ 1982 წელს ვერ შეასრულა საგეგმო დავალებები და ახლად დანიშნულ გამგესაც წინამორბედის ბედი ეწია.

1982 წლის 23 ოქტომბერს მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ალადაშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო მის ადგილას დანიშნეს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ 1982 წლის 7 აგვისტოს უპასუხისმგებლობისათვის თანამდებობიდან გათავისუფლებული მელორეობის ფერმის გამგე ზ. ბატაშვილი.

ზოგჯერ ნომენკლატურული თანამდებობის მუშაკებს ათავისუფლებენ და ნიშნავენ რაიკომთან შეუთანხმებლად. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს არც პროფკავშირის ადგილკომის მოსაზრებებს ითვალისწინებენ.

სამუშაოდან დათხოვნილი კომუნისტების პასუხისმგებლობის შესახებ არ მსჯელობს არც საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია და არც პარტიული კომიტეტი. მიუხედავად ამისა, რომ კოლმეურნეობის საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა გარკვეული ნაწილი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, პარტიული კომიტეტი არ ზრუნავს ღირსეული რეზერვის შექმნისათვის.

ამას წინათ პარტიის წითელწყაროს რაიკომმა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტისა და გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საქმეში ჩათვალა არასაკმარისად და დასახა ღონისძიებები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ძმობით განმტკიცებული ხელოვნება

როგორც უკვე ჩვენმა მკითხველებმა იციან, ხვალ საქართველოში იწყება ჩვენი ქვეყნის სახელოვანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ დღეები. ამ მოვლენის წინ გაზეთ „კომუნისტის“ მოსკოველმა კორესპონდენტმა დ. მაძაპავარიანმა ინტერვიუ სთხოვა „მოსფილმის“ წარმომადგენლებს, ცნობილ რეჟისორებსა და მსახიობებს, ბევრი მათგანი ჯერ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სტუმრები იქნებიან.

ნ. სიზოვი,
სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კინოსტუდია „მოსფილმის“ გენერალური დირექტორი:

— **რუსი** და ქართველი ხალხების მეგობრობის მატიანე მრავალ შესანიშნავ ფურცელს ითვლის. ეს მეგობრობა საუკუნეობით არის გამოცდილი და განმტკიცებული ჭირსა თუ ლხინში.

ძმობისა და მეგობრობის ფესვები აკავშირებს რუს და ქართველ კინემატოგრაფისტებსაც. აქ ეწყლა რამდენიმე სახელის აღნიშვნაც იკმარებდა, რომლებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი კინემატოგრაფიაში და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ თავიანთ რუს კოლეგებთან. ესენი არიან: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი, მიხეილ კალატოზიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე. ჩვენი შეხვედრა ქართველ მაყურებლებთან მეგობრობისა და შემოქმედებითი კონტაქტების შემდგომი გაღრმავებისა და დაახლოების საწინდარია.

შეუძლებელია ყველა იმ ქართველი მოღვაწის ჩამოთვლა, რომლებიც დაკავშირებული არიან „მოსფილმთან“. უპირველესად ეს გახლავთ სახელოვანი კინორეჟისორი მ. კალატოზიშვილი, რომლის ბრწყინვალე ფილმმა „მიფრინავენ წეროები“ სხვა მრავალ პრიზთან ერთად კანის ფესტივალზე „ოქროს დაფნის გვირგვინი“ მოიპოვა. ჩვენს სტუდიაში გადაიღეს თავისი პირველი ფილმი გ. დანელიამ და ი. ტალაკვინმა, გ. დანელიას შემოქმედება ცალკე საუბრის თემაა. არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდებული ოპერატორი ლ. პაატაშვილი, ნიჭიერი მხატვარი ლ. შენგელია და მრავალი სხვა.

უკანასკნელ ხანს ქართულმა კინემატოგრაფიამ დიდ წარმატებებს მიაღწია, რასაც მხოლოდ მაყურებელთა გაცხოველებული ინტერესი კი არ მოწმობს, არამედ ის მრავალი ჯილდო, რომლებიც ქართულ ფილმებს მოუპოვებიათ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველით ობიექტურ და მკაცრ ქართველ მაყურებელთან შეხვედრას. ვიმედოვნებთ, რომ ეს შეხვედრები ჩვენი ხალხებისა და კინოს ნამდვილი დღესასწაული იქნება.

ვ. ტელიჩკინა,
რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტი:

— **ცამეტი** წლის წინათ რეჟისორმა ე. შენგელაიამ გადამიღო თავის ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ეს იყო ის იდეალური შემთხვევა, როცა ყველაფერი მოგწონს, სცენარიც, რეჟისორიც და მსახიობთა დიდებული კოლექტივიც. ქართველ მეგობრებთან ერთად გატარებული ის დღეები ყოველთვის მაგონდება როგორც

ტკბილი ზოგჯერ. მივესალმები „მოსფილმის“ დღეებს თქვენს რესპუბლიკაში და მჯერა, რომ ქართული სითბო და სტუმართმოყვარეობა ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას მიანიჭებს ჩემს მოსკოველ კოლეგებს...

გ. ეგიაზაროვი,
რუსეთის სსრ სახელოვანი არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი:

— **მოუთმენლად** ველი თბილისთან შეხვედრას. ეს ხომ ჩემი ბავშვობის ქალაქია. აქ ვსწავლობდი მე-100 საშუალო სკოლაში. ჩემი პირველი მასწავლებელი ცნობილი მულტიპლიკატორი მუჯირი გახლდათ. არასდროს დამავიწყდება მუშაობა კინოფილმზე „26 ბაქოელი კომისარი“, რომელსაც ნ. შენგელაია იღებდა. საერთოდ, ნ. შენგელაიას სახელი ნათელივით ადგას ქართულ კინემატოგრაფს... წლებს განმავლობაში ვცხოვრობ მოსკოვში, მაგრამ არასდროს არ ვივიწყებ თბილისს, ჩემს ქართველ მეგობრებს. გამოგიტყდებით, ჩემი სულის ნაწილი თბილისში დარჩა...

ქართულ კინოს, ჩემი აზრით, დღეს წამყვანი პოზიციები უკავია როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში. მაღალმხატვრული დონე, ადამიანური პათოსი, საოცარი სითბო და სიკეთე გამოარჩევს მის წარმატებებს. სხვაგვარად ვერც შეაფასებ ნ. ჩხეიძის, თ. აბულაძის, ო. იოსელიანის და სხვათა ფილმებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულითადად მივესალმები ჩემს ქართველ ძმებს და კოლეგებს. „მოსფილმის“ დღეების პერიოდში ქართველი მაყურებლები ნახავენ ჩემს ახალ ფილმს „შინისკენ“.

ნ. კრიუჩკოვი,
სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი:

— **ოცის** ქარცეცხლიან წლებში, 1943 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პავილიონებში კინორეჟისორებმა ი. ხეიფიცმა და ა. ზარხმა გადაიღეს „მალახოვის ყორღანი“. ამ ფილმს დიდი წარმატებით უჩვენებდნენ ფრონტზე. მიხარია, რომ მასში მე ერთ-ერთი მთავარი როლი შევასრულე. ჩემთან ერთად გადაღებებში მონაწილეობდა დიდი მსახიობი აკაკი ხორავა. ვმონაწილეობდი ე. აფხაიძესთან ერთად ფილმის „ღამე ოქტომბერში“ გადაღებაში. თბილისში ყოფნის დროს ბევრი მეგობარი შევიძინე. სასიამოვნო იყო ჩემთვის რეჟისორ ვ. კვაჭაძესთან ერთად კინოფილმ „ჩემი მეგობარი ძია ვანოს“ გადაღებებში მონაწილეობა, რომელშიც ძია ვანოს როლი განვასახიერე. სხვათა შორის, ეს იყო ჩემთვის საიუბილეო — მე-100 ფილმი. „მოსფილმის“ დღეების საქართველოში გამართვის შემდეგ მალე მოსკოვში დაიწყება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები. ეს ღონისძიება მოსკოველებისათვის ისეთივე ძვირფასია, როგორც მთელი ქართველი ერისათვის...

ი. ჩურიკოვა,
რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტი:

—**ქართულ** კინომატოგრაფიასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. შევეცდები აგიხსნათ რისი თქმაც მსურს: ქართული ფილმებს აღვიქვამ როგორც ცოცხალ ორგანიზმს. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერი ის, რაც ქართულ ხასიათშია, მხედველობაში მაქვს ტალანტი, სიკეთე, იუმორი, საოცარი მუსიკალური ნიჭი, უშუალობა და სინაზე — ყველა ეს კომპონენტი აუცილებელი თანამგზავრია ქართული ფილმებისა. ალბათ ამიტომ არის, რომ ქართული ფილმის ნახვის შემდეგ თან მდევს ხოლმე საზეიმო განწყობილება, თითქოს რაღაც ძალიან ახლობელსა და ძვირფასს მივეახლე.

თბილისელები ამ დღეებში ნახავენ რეჟისორ გლებ პანფილოვის. ფილმს „ვასას“, რომელშიც მთავარ როლს ვასრულებ. ძალიან ვლელავ და მაინც მჯერა, რომ ჩვენი ნამუშევარი მოეწონებათ საქართველოში....

ა. სახაროვი,
რუსეთის სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი:

— **სიამაყით** ვამბობ: მე თბილისელი ვარ. თბილისში ვსწავლობდი და იქვე დავამთავრე სახელგანთქმული 35-ე სკოლა. იქ გავიგე, რა არის ნამდვილი მეგობრობა. ცოტა მოგვიანებით, უკვე მოსკოვში სწავლისას დავუმეგობრდი თამაზ მელიავას, ელდარ შენგელაიას, გიორგი კალატოზიშვილს. მიყვარდა სტუმრად მისვლა მ. ჭიაურელისა და ნ. ვაჩნაძის ოჯახებში, სადაც ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა.

როგორ გიქროლეს წლებმა! თითქოს გუშინ შედგა ჩემი და ე. შენგელაიას დებიუტი. სურათს ერქვა „ლეგენდა გაყინული გულის შესახებ“, ფილმი ყირგიზეთში გადავიღეთ. კიდევ ერთი სურათი — „ზამთრის ზღაპარი“ გადავიღეთ ერთად. მას შემდეგ 25 წელი გავიდა. მიხარია, რომ ეს დღეები მეგობრულ შეხვედრებში ჩაივლის.

გ. დანელია,
რუსეთის სსრ სახალხო არტისტი:

— **თითქმის** ყველაფერი, რაც გავაკეთე, საქართველოს ეკუთვნის. საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს ჩემს ფილმებს ქართულ ფილმებად აღიქვამენ, მიხარია და ვამაყობ ამით. წლების განმავლობაში ნაყოფიერი შემოქმედებითი კონტაქტები მაკავშირებს რ. გაბრიაძესთან და გ. ყანჩელთან. ძალიან ბევრი მომცა მ. ჭიაურელის ზეპირმა მოთხრობებმა ძველი თბილისის შესახებ... ძალიან წმირად მეკითხებიან, თუ ვინ არის ჩემი საყვარელი რეჟისორი, მე კი ვამბობ: თუ ჩემი ფილმის დამთავრებას უეცარი ავადმყოფობა შეუშლის ხელს, ვისურვებდი, რომ ჩემი დაწყებული სამუშაო განგრძოს მხოლოდ ელდარ შენგელაიამ.



პოეტი—მებრძოლი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ხუთიოდ წელთან დაკავშირებით მწერალი თეიმურაზ ალექსანდრეს ძე ჯანგულაშვილი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სახალხო პოეტი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი გიორგი ლეონიძე იყო ჩვენი . დღეკანდელი იუბილარის პირველი პოეტური ნათლია. სწორედ მან დაულოცა ბარა ომგადახდილ ჯაბუკს მწერლობის დიდ სარბიელზე, მანვე უწინასწარმეტყველა კეთილი მომავალი.

გიორგი ლეონიძე ამგვარ ყურადღებას მხოლოდ იმ შემოქმედთა მიმართ იჩენდა, ვინც არა მარტო ლიტერატურული ნიჭიერებით, არამედ დაუღალავი შრომითა და წმინდა ადამიანური თვისებებით განირჩეოდა. თეიმურაზ ჯანგულაშვილმა ღირსეულად გაამართლა ლეონიძის და უფროსი თაობის სხვა სახელოვანი მწერლების იმედები — სულ მალე ქართული ლექსის პირველხარისხოვან ოსტატთა რიგებში ჩადგა.

ამ პერიოდს წინ უძღოდა არც თუ დაღმენილი წლები მძიმე ბავშვობისა, პირველი ნაპერწკლანი ლექსები, შემდეგ დიდი სამამულო ომის მრისხანე გზები, თავისი ნაღმმტყორცნელთა ოცეულით პოლონეთისა და გერმანიის მიწა-წყალზე ბრძოლებით შესვლა, ალმოდებული რაიხსტაგის კედლებთან გამარჯვების დღესასწაული, საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდამშვენებული ახალგაზრდა ოფიცრის შინ დაბრუნება, დედის — უსაზღვროსი ქართველი ქალის — ანას გახარება და ბედნიერება, საყვარელ და-ძმებთან ერთად მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩადგომა ჯერ საგარეჯოში, შემდეგ — საქართველოს დედაქალაქში.

ბუნებრივია, რომ თეიმურაზ ჯანგულაშვილის პირველი პოეტური შთაგონება მშვენიერი საგარეჯო იყო, გარეკახეთის ზღაპრული სახახები; ბუნებრივია ისიც, რომ იგი—უკვე აღიარებული, ცნობილი პოეტი — ახლაც ფარვანასავით დასტრიალებს თავის ნაკვნარს — საგარეჯოს რაიონს და ამაყობს გარეჯელთა გმირული შრომით, დიდი გამარჯვებებით, მეტადრე ბოლო წლების მანძილზე.

არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გარეკახეთში, გარეჯობა იქნება ეს თუ გოგლაობა, შმობლიური რაიონის სახელოვანი მეთაურების გვერდით რომ არ იდგეს გახარებული და ბედნიერი მასპინძელი — თეიმურაზ ჯანგულაშვილი, საყვარელი პოეტი და ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ჩვენი ცხოვრების დიდებული მემატიანე.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი ასეთივე თამამი მასპინძელი გახლავთ საქართველოს ყველა კუთხეში; ყველა ქალაქსა და სოფელში მას თავიანთ ღვიძლ შვილად თვლიან, რადგანაც თავად პოეტი მშობლიური გრძნობით არის განმსჭვალული მათდამი.

მთელ საქართველოში, ყველგან აღტაცებით, უსაზღვრო სიყვარულით ხვდებიან პოეტს, და გასაოცარიც არ არის, რომ ხალხთან ეს სიახლოვე და ურთიერთობა დაუშრეტელი წყაროა შემოქმედის შთაგონებისა.

ამ დიდი შთაგონების ნაყოფია პოეტის 30-ზე მეტი წიგნი, რომელთაგან 4 რუსულ ენაზეა გამოცემული. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თ. ჯანგულაშვილის რჩეული ნაწარმოებები საბჭოთა ერის თითქმის ყველა მოძმე ხალხის ენაზე ითარგმნა.

თ. ჯანგულაშვილის პოეტური კრებულებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანაგებთ წიგნებს „ცხრაას ორმოცდახუთი“ (1948), „სიმღერა და მახვილი“ (1972), „მაისი ოდერზე (1956), „შუადღე“ (1962), „ბალადა მიწის გაცოცხლებისა“ (1979), „ლექსები“ (1980), „შუაზაფური ჩანაწერები“ (1969), „მეოთხედი საუკუნეს გადასარბენზე“ (1965).

ამ შესანიშნავ წიგნებში მოთავსებულმა საუკეთესო ლექსებმა განსაზღვრეს ავტორის მეტად სპპატიო ადგილი მრავალხმიან ქართულ საბჭოთა პოეზიაში და ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარესი პოეტის სახელი. პირველი, მყარი შემოქმედებითი გამარჯვება თეიმურაზ ჯანგულაშვილს ვრცელმა ფრონტულმა ციკლმა მოუტანა. ციკლში შესული ბევრი ლექსი მომოფანტულია პოეტის არაერთ წიგნში, მაგრამ სულის სიმებით ერთმანეთისაგან განუყოფელია.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი თავისი ბუნებით ლირიკოსია, მაგრამ მისთვის უცხო როდია მძაფრი პუბლიცისტური შემართება. უთუოდ ამიტომაც იყო, რომ სხვა სახელოვან ქართველ პოეტებთან ერთად, პირველთა შორის, რჩეულთა შორის, მთელი გულით და მონდომებით შეუერთდა რესპუბლიკის ახალი აღმავლობისათვის გაჩაღებულ კეთილ ლაშქრობას. ამ თემაზე შექმნილი მგზნებარე ლექსები მიგვაჩნია არა მარტო პოეტის, არამედ ბოლოდროინდელი პატრიოტული პოეზიის საერთო წარმატებად.

ბუნებრივია, რომ სურვილი მაქვს ამ საიუბილეო წერილში მკითხველს შევახსენო ძვირფასი მეგობრის საუკეთესო ლექსები: „სამშობლოსათვის“, „ვისლაზე“, „ოდერი“, „ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს“, „თრაუთე“, „მარქსის გერმანია“, „წითელი კაბა“, „თეიმურაზ მარადისობა დაუბრის თავს...

სულ ასე მენთე! შენი ცა ლურჯი,
შენი მზე უხვი მანდე და მენდე.
შენს სამსახურში, შენს ხიყვარულში
ღმერთმა ნუ მომკლას სიკვდილის დღემდე!

საბედნიეროდ ჩვენდა, ბევრ გამოჩენილ თანამედროვე ქართველ მწერალს თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. მათ შორის გახლავთ ჩვენი იუბილარი, რომლის საყმაწვილო წიგნები „მოვდივართ, მოგვიხარია“ (1949), „ათი ნემსი“ (1959), „კოცონი გორის ციხესთან“ (1955), „ალუბლის ტოტს ლეგენდა“ (1973), „ბაკური ბაკურიანში“ (1982) და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ლექსები, ნამდვილი სიმდიდრეა ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურისა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილს საგანგებოდ არ დაუწერია სასიმღერო ტექსტები რომელიმე კომპოზიტორისათვის, მაგრამ მისმა სტრიქონებმა თავად გაიკაფეს გზა მუსიკისაკენ. აქ დავასახელებ მეტად პოპულარულ სიმღერას სიმღერას „ჩვენ ლენინმა გვიანდერძა“, თ. ჯანგულაშვილის ლექსის საფუძველზე რომ შექმნა კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა.

ფრიად საგულისხმოა, რომ თეიმურაზ ჯანგულაშვილი მუდამ მზარში უდგას თავის კოლეგებს, ქარგად იცის, რომ სხვათა შესახებ ხმამაღლა ნათქვამი მადლიანი სიტყვით სიკეთით ამკობს საკუთარ სახელსაც. სანიმუშო გულმოდგინებით ეხმაურება პოეტი მეგობრისა თუ სრულიად უცნობი ავტორის ყოველ შემოქმედებითს წარმატებას. მთელ ტომად აიკეხძება თ. ჯანგულაშვილის ამგვარი რეცენზიები, წერილები, მხატვრული ნარკვევები...

ბარაქალა მას, რომ ამხელა გული აქვს და ამდენი ძალაც შესწევს ადამიანთა მოსაფერებლად! ეს ბევრს არ ძალუძს...

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნო თ. ჯანგულაშვილის, თ. ჯანგულაშვილის პოეტური კრებულებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანაგებთ წიგნებს „ცხრაას ორმოცდახუთი“ (1948), „სიმღერა და მახვილი“ (1972), „მაისი ოდერზე (1956), „შუადღე“ (1962), „ბალადა მიწის გაცოცხლებისა“ (1979), „ლექსები“ (1980), „შუაზაფური ჩანაწერები“ (1969), „მეოთხედი საუკუნეს გადასარბენზე“ (1965).

ამ შესანიშნავ წიგნებში მოთავსებულმა საუკეთესო ლექსებმა განსაზღვრეს ავტორის მეტად სპპატიო ადგილი მრავალხმიან ქართულ საბჭოთა პოეზიაში და ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარესი პოეტის სახელი. პირველი, მყარი შემოქმედებითი გამარჯვება თეიმურაზ ჯანგულაშვილს ვრცელმა ფრონტულმა ციკლმა მოუტანა. ციკლში შესული ბევრი ლექსი მომოფანტულია პოეტის არაერთ წიგნში, მაგრამ სულის სიმებით ერთმანეთისაგან განუყოფელია.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი თავისი ბუნებით ლირიკოსია, მაგრამ მისთვის უცხო როდია მძაფრი პუბლიცისტური შემართება. უთუოდ ამიტომაც იყო, რომ სხვა სახელოვან ქართველ პოეტებთან ერთად, პირველთა შორის, რჩეულთა შორის, მთელი გულით და მონდომებით შეუერთდა რესპუბლიკის ახალი აღმავლობისათვის გაჩაღებულ კეთილ ლაშქრობას. ამ თემაზე შექმნილი მგზნებარე ლექსები მიგვაჩნია არა მარტო პოეტის, არამედ ბოლოდროინდელი პატრიოტული პოეზიის საერთო წარმატებად.

ბუნებრივია, რომ სურვილი მაქვს ამ საიუბილეო წერილში მკითხველს შევახსენო ძვირფასი მეგობრის საუკეთესო ლექსები: „სამშობლოსათვის“, „ვისლაზე“, „ოდერი“, „ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს“, „თრაუთე“, „მარქსის გერმანია“, „წითელი კაბა“, „თეიმურაზ

ტრიქონი მამულის ბილიკზე
გარბის,
ვაიმე, არ გაბაყვეს გაკვალულ
კვალს...
რიხთვის შევაწუხებ რობინ ბუდს
— კარგ ბიბს, —
მე ჩემი კაი ყმა არსენა მყავს.
დიდი ხიყვარულის დამადე
ხარკი
ყველა ხიმძიმისთვის ქედუხრელ
ხარს...
რაიხთვის მოვიხმო
ყანა დარკი, —
მე ჩემი მაია წყნეოელი მყავს.
მსოფლიოს ტაძარში ჩემს
სანთლებს ვანთებ,
ჩემი ცის ნათელი რომ აკრავს
გარს...
და თუკი ნამდვილად დიდია
დანტე,—
მე ჩემი უკვდავი რუსთველი
მყავს.
მის სიტყვას — სამყაროს
ხინათლის დამტევს—
თვით მარადისობა დაუბრის
თავს...
მე ვანის ქვაბების სიმაღლე
დამდევს,
მე ბეკა ოპიზრის ჩუქურთმა
მრთავს!
მსოფლიოს ტაძარში ჩემს
სანთლებს ვანთებ!

ქართველ მკითხველს მუდამ სწამს და მუდამ სჯერა თავისი პოეტისა. იგი ფიქრობს იმის, რასაც წერს; იგი წერს იმის, რასაც ფიქრობს. ამიტომ არის მისი სიტყვა უტყუარი და შთამბეჭდავი. როცა თეიმურაზ ჯანგულაშვილი სამშობლოს მიმართავს, მიყვარხარო, ამას იგი თავისი საქმით და სიცოცხლით ადასტურებს.

სულ ასე მენთე! შენი ცა ლურჯი,
შენი მზე უხვი მანდე და მენდე.
შენს სამსახურში, შენს ხიყვარულში
ღმერთმა ნუ მომკლას სიკვდილის დღემდე!

„სამშობლოს მკერდზე გულს სანთლად ვანთებ“

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში თავი მოიყარეს ცნობილი ქართველი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის პოეზიის თაყვანისმცემლებმა. ეს გულთბილი შეხვედრა პოეტთან მისი დაბადების 60 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ პოეტის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა პოეტის მოკლე ბიბლიოგრაფიული საძიებელი — „სამშობლოს მკერდზე გულს სანთლად ვანთებ“ (შემდგენლები ლ. გურეშიძე და რ. თურნავა), რომლის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, თუ რა მრავალმხრივია მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი. ლექსებთან ერთად იგი ავტორია მოთხრობების და მხატვრული ნარკვევებისა. მასვე ეკუთვნის წერილები და სტატიები მწერლებსა და გამოჩენილ ადამიანებზე, პარალელურად ეწევა ნაყოფიერ მთარგმნელობითს მუშაობას.

თ. ჯანგულაშვილთან შეხვედრისადმი მიძღვნილ საღამოს წარმართავდა პოეტი ხუტა ბერულავა. იუბილარის მოღვაწეობაზე ილაპარაკეს მწერლებმა და მეცნიერებმა — ალ. გომიაშვილმა, მ. გუგუშვილმა, ე. ქარელიშვილმა, ვ. გორგანელმა, ნ. რატიანმა, ზ. ჟიჟილაშვილმა. იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა — ა. გეწაძემ, მ. კერესელიძემ და ნ. შამანაძემ.

შეხვედრის დასასრულს იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ამ გულთბილი საღამოსათვის და წაიკითხა ახალი ლექსები.

მ. აიდარაშვილი.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სამშობლოს

სულ ასე მენთე!
შენი ცა ლურჯი,
შენი მზე უხვი მანდე და მენდე,
შენს სიყვარულში,
შენს სამსახურში
ღმერთმა ნუ მომკლას სიკვდილის დღემდე.
შენი ბაღ-ბოსტნების მწვანე ხმაურში
მკერდზე სინათლის ტალღებად შემდექ,
შენს ტკივილშიც და
შენს სიხარულშიც
ღმერთმა მაცოცხლოს სიკვდილის შემდეგ!..

* * *

სამშობლოს მკერდზე გულს სანთლად ვანთებ,—
ვერ ჩამიქრობენ ციცი ქარები.
როგორ შევხედო ამ მზეს და ამ მთებს,
თუ საქართველოს არ ვეყვარები?!.

შენ ხარ ვენახი!

ნინაპარს უთქვამს:
— შენ ხარ ვენახი!
ჩემო ზვარუხვო მამულო, შენთვის.
შენ ხარ ვენახი!
შენი მზელაღი
ვაზის ფესვები ჩემს ძარღვებს ერთვის.

გავყურებ ველებს და მთათა კალთებს,
შევხარი ზვართა მზიანთა შორეთს! —
— შენ ხარ ვენახი! —
ოდესმე ქართველს
თუკი ეთქმოდა,
დღეს ეთქმის სწორედ!

აღსარება

რწმენით, იმედის მზის თადარიგით
გულიც და სიტყვაც ავამეტყველე,
რაც გუშინ ვიყავ, დღესაც ვარ იგი —
ხელმოუღლელი მეზვერე, მეტყველე,
ყველა თარიღის
ვიყავ ტარიგი
და არასოდეს ვიყავ მედღეევ.

ჩონგური და აფხიარცა

წიგნიდან „აფხაზური დღიური“.

აფხაზეთო,
აფხაზებო,
დაგიღამდეთ ანი არცა,
სულ ხმამაღლა ყღერდეს, ძმებო,
თქვენი ტკბილი აფხიარცა.

ვარსკვლავები მოკაშკაშე
ოქროს ქვიშად აყრია ცას,
გული — ზარი მოგანგაშე —
თრთოლვით უსმენს აფხიარცას.

თბილი მზე და წვიმა ძმობის
ხნულში ჩაყრილ კეთილ მარცვალს! —
ჩონგურის ხმა მღერის გრძნობით,
გრძნებით გალობს აფხიარცა.

ერთი ფუძის,
ერთი ჭერის,
ერთი კერის ძმები ვართ ჩვენ,
თავის თავის არის მტერი,
მოყვასს მტრისგან ვინც ვერ არჩევს.

გაზაფხულთან შემახვედრებს
თქვენი ტკბილი აფხიარცა,
გამიყუჩებს, გამინეღლებს
გულსა — ომში ნატყვიარსა.

სიყვარულმა ამამღერა,
მზემ სტრიქონი გამირანდა,
ძმობის ძალამ მაძლიერა,
მისით არსად დამილამდა,
შართა ამთა, მკვიდრო კერაჯ
აბრსკილთა და ამირანთა!

სულ სიკეთის მზეი გენთოს,
გამაღლებდეს სვლაი ყამთა,
გაგიმარჯოს, აფხაზეთო,
აფხაზებო, შართა ამთა!

„ძველმოდური“ სპექტაკლი

ᲘᲣᲠᲘ კაკულიას სპექტაკლი „ძველმოდური კომედია“, რომელიც ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში დადგა ალექსი არბუზოვის პიესის მიხედვით, მართლაც ძველმოდურად შეიძლება მოგეჩვენოთ. თანამედროვე თეატრალური ნოვაციების ფონზე, რომლებსაც უხვად შეიცავს ახლანდელი თეატრი (და არა მარტო ქართული), იგი მოკრძალებულად გამოიყურება, განსაკუთრებულობის პრეტენზიები არა აქვს და არ ცდილობს მაინცდამაინც „გააოცოს“ მაყურებელი მოულოდნელი სცენური კომბინაციებით, კონსტრუქციებით, ეფექტებითა და მიზანსცენებით. სპექტაკლში ყველაფერი შეჯერებული და დაწვრილებით გაანალიზებულია პიესის მოქმედების განვითარების მიხედვით, მსახიობების სცენური ურთიერთობისა და ქცევის მიხედვით. რეჟისორი პატივით ექცევა ავტორისეულ ტექსტს. რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, პიესა ახალ ყაიდაზე არ გადაუკეთებიათ და მისი სახელწოდებაც, რომელიც დრამატურგს ეკუთვნის, ასევე ხელუხლებელი დარჩა... რეჟისორი არსად არ ეწევა მსახიობების მაგივრობას, ფრთას არ უკვეცავს მათს თავისუფლებას თავისი ერთპიროვნული ნებით, თავს არ აბეგვს მარტოოდენ საკუთარ ფანტაზიას და რეჟისორულ დავალებებს, არამედ მეთოდიკურად ფაქიზად და ზუსტად წარმართავს მსახიობების მოქმედებას საჭირო კალაპოტით, ცდილობს შეიტანოს მათ ქცევაში ქმედითი საწყისი, დაგვანახვოს სცენაზე „ადამიანის სულის ცხოვრება“. ერთი სიტყვით, სპექტაკლი დადგმული და გათამაშებულია სტანისლავსკის „სისტემის“ ყველა „ძველი“ კანონის მიხედვით. და თითქოს უნდა გაგვაკვირვოს ჩვენს დღეებში ესოდენ მოულოდნელმა სცენურმა ოპუსმა, თითქოს მხრები უნდა აიჩეჩო და დაუდევრად თქვა: ყოველივე ეს დღეს ძალზე ძველმოდურია და აღარავის აღარ სჯერდებიო, სხვაგვარად არის საჭირო თამაში და დადგმაო...

მაგრამ ვითარდება სპექტაკლის მოქმედება, სცენური მოვლენები, და შენდა შეუმჩნევლად მოექცევი მაგნიტურ ველში, რომლისგანაც თავის დაღწევა არ ძალგიძს — სპექტაკლმა უკვე გაგიტაცა. გაგიტაცა თავისი სიმართლით.

და აი, პარადოქსი: სპექტაკლი, რომელსაც განსაკუთრებულობის პრეტენზიები არა აქვს, უეცრად განსაკუთრებული ზდება. სპექტაკლი, რომელსაც მაყურებლის „გაოცების“ პრეტენზია არა აქვს, უეცრად გაოცებს და გულში გწვდება. გაოცებს არა ეფექტებით, არამედ ღრმა და ადამიანური, ფსიქოლოგიურად ფაქიზი და ცხოვრებისეული სიმართლით აღსავსე აქტიორული შესრულებით. და თუ გავიზიარებთ სპექტაკლის პირობითს დაყოფას „აქტიორულ“ და „რეჟისორულ“ სპექტაკლებად, ი. კაკულიას ეს ნამუშევარი თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ აქტიორულს. სწორედ აქ, მსახიობებთან მუშაობაში იჩინა თავი კაკულიას რეჟისორულმა ოსტატობამ, მისმა უნარმა, გამოცდილებამ და, რაც მთავარია, ხელოვნებაში მისმა ესთეტიკურმა პოზიციამ.

უნდა ითქვას, რომ სპექტაკლი „ძველმოდური კომედია“ ძალზე ლოგიკურია რეჟისორ ი. კაკულიას შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. ლოგიკურია, უწინარეს ყოვლისა, თვით პიესის შერჩევა— არბუზოვის თეატრი მისი თეატრია. ლოგიკურია ისიც, თუ როგორ შეარჩია რეჟისორმა როლებში (სპექტაკლში სულ ორი როლია) მსახიობები — ევა ხუტუნაშვილი და ერემია სვანაძე. ამ მსახიობთა ხელოვნება კაკულიას რეჟისორულ ძიებათა კალაპოტშია მოქცეული. რეჟისორის ძიებებს კი, როგორც ჩვენთვის უკვე მიხვდა, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ტრადიციებთან მივყავართ, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ იგი ივიწყებს თანამედროვე რეჟისურას. ეს ტრადიციები ჩვენ სცენური რეალიზმის არსს შეგვახსენებს. იური კაკულია კი სტანისლავსკის მოწაფის — ნიკოლოზ გორჩაკოვის მოწაფეა და სტანისლავსკის მემკვიდრეობა, როგორც იტყვიან, „საუკეთესო ხელიდან“ მიიღო. მიიღო და შეძლო შეერწყა იგი ქართული სცენური რეალიზმის სკოლის არსთან. ეს შერწყმა დროით არის გამოცდილი — მას ყოველთვის კეთილი ნაყოფი მოჰქონდა ჩვენი თეატრისათვის. ნუ მოვყვებით მაგალითების ჩამოთვლას, დავასახელოთ მხოლოდ ერთი, კლასიკური: მარჯანიშვილი.

ქუთაისის თეატრის სპექტაკლი ბევრ რამეს გვასწავლის. მასში ფრონტობა ეუმშარიტი სცენური კულტურა, რომელიც გამოხატულია სიტყვის კულტურით, ადამიანთა ურთიერთობის კულტურით, ხატოვანი დადგმის კულტურით. ამასთანავე რეჟისორული აზროვნების ხატოვანება სავსებით თანამედროვეა. ი. კაკულია კუდში არ მისჩანჩალებს „ყოფითს“ რეჟისურას, არ ამბიობს თავის სპექტაკლს მოსაწყენი ყოფითი წვრილმანებით. სპექტაკლში ჩვენ ვხედავთ სცენური გადაწყვეტის პირობითობას. მხატვარმა ჯეირან ფაჩუაშვილმ

1 ივნისი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს

გამოსვლა

გამოჩენილი შეიარაღების ალაგმვის პრობლემის გადაჭრისადმი საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული რეალისტური მიდგომა ეწინააღმდეგება ვაშინგტონის უგუნურ ავანტიურისტულ კურსს, რომელიც მსოფლიო ჰეგემონისაკენ სწრაფვაში უგულებელყოფს ხალხთა უშიშროების ინტერესებს. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს გაზეთების კომენტარებს, პოლიტიკურ მოღვაწეთა გამონათქვამებს, რომლებიც განთავსდენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების ბირთვული არსენალების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობის განცხადება კვლავ მოწმობს, რომ შესაძლებელია შეიარაღების შეზღუდვა და განიარაღება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე და ამით ხელს უწყობს ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებას, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ო. ფიშერმა.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა ბოლო მოეღოს მდგომარეობის ახლანდელ განვითარებას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

საბჭოთა მთავრობის განცხადების ძირითადი აზრი ჩამოყალიბებულია მოწოდებაში, რომ გამოვიჩინოთ გონიერება, პასუხისმგებლობითი მიდგომა, რაც მეტად საჭიროა ახლანდელ ვითარებაში, რათა მოვსპოთ მზარდი საფრთხე, რომელიც ემუქრება კაცობრიობის ცივილიზაციას, წერს ბულგარული **„ტრუდი“.**

თავისი იდეალების ერთგული საბჭოთა კავშირი ადასტურებს წინათ წამოყენებულ კონსტრუქციულ და რეალისტურ წინადადებებს შშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და შემდგომი ლიკვიდაციის შესახებ, წერს ვიეტნამის **„ნიან ზანი“.** ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხში პრინციპული საბჭოთა პოზიციის ურყეობა აღფრთოვანებს ხალხებს, ახალ ძალებს მატებს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მძლრაობას, რომელმაც მოიცვა მსოფლიო.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა დემოკრატმა **რ. დელუმსმა** დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაილაშქრა დასავლეთ ევროპაში ამერიკული „პერშინგ-2“ ტიპისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. „ეს მოქმედება, — განაცხადა მან, — მსოფლიოს კატასტროფის ზღვარზე დააყენებს“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი **„ვარშაიტი“** კომენტარში, რომლის სათაურია „გაფრთხილება მოსკოვიდან“, წერს: „საბჭოთა მთავრობის განცხადება შეიცავს სერიოზულ მოწოდებას, რომ ყურადღება მოლაპარაკებას მიენიჭოს კონსტრუქციული ხასიათით და სანამ გვიან არ არის მიაღწიონ დადებით შედეგებს მოლაპარაკებაზე. საბჭოთა კავშირის ეს პოზიცია ეწინააღმდეგება ამერიკის ახალი ადმინისტრაციის სტრატეგიას, რომელიც ცდილობს, რაღაც უნდა დაუჯდეს მიაღწიონ დასავლეთ ევროპაში პირველი დარტყმის ბირთვული რაკეტების განლაგებას და ამით მოსპოს ყველაფერი, რაც მოუტანა ევროპის ხალხებს დაძაბულობის შენელებამ.

ჩვენ მივესალმებით საბჭოთა მთავრობის განცხადებას, ისე როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებებს შეიარაღების შემცირებისა და განიარაღების შესახებ, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება, ნათქვამია **კვიპროსის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომიტეტის** განცხადებაში. ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებული საერთაშორისო ვითარების გამწვავებით და მზარს ვუჩვენთ ყველგან მოლაპარაკებაზე შეთანხმების მიღწევას, რომელიც გამორიცხავს დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებას და ამრიგად საჭირო აღარ იქნება საბჭოთა კავშირის მხრივ კონტრღონისძიებათა განხორციელება. ჩვენ გვწამს, რომ ამერიკელი ხალხი და დასავლეთ ევროპის ხალხები თავიანთ წვლილს შეიტანენ მშვიდობისათვის, შეიარაღების შემცირებისა და განიარაღებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

მოსკოვიდან კვლავ გაისმა გონიერების ხმა, ნათქვამია ლიბიის **ჯანან ხაადენტის** კომენტარში. მრავალრიცხოვანი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები შეესაბამება პლანეტის ყველა ადამიანის მისწრაფებებსა და იმედებს. დღეს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის საქმე ეზება როგორც დიდ, ისე პატარა ხალხებს, ვინაიდან გლობალური კონფლიქტის შემთხვევაში ყველა სახელმწიფო დაზარალდება. საყოველთაო მშვიდობა, ომის საფრთხის თავიდან აცილება — ასეთია კაცობრიობის მტკიცე მოთხოვნა.

ფოტოინფორმაცია

● **ბელგია**

ნატოს შტაბ-ბინაში

ბრიუსელი. ნატოს შტაბ-ბინაში გაიხსნა ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოების საგაზაფხულო თათბირების სერია. იგი დაიწყო ნატოს ევროჯგუფის სხდომით, რომელშიც მონაწილეობენ დასავლეთ ევროპის 12 სახელმწიფოს (საფრანგეთისა და ისლანდიის გარდა) თავდაცვის მინისტრები. აქვე შეიკრიბება ნატოს სამხედრო კომიტეტი ნატოს ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსების მონაწილეობით. 1-2 ივნისისათვის დასახულია ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის სესია, რომელშიც არ მონაწილეობს მხოლოდ საფრანგეთი.

საგაზაფხულო „ატლანტიკური მარათონს“ დაამთავრებს ნატოს სამბეჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომელიც მოეწყობა მომდინარე წლის 9-10 ივნისს პარიზში. ბლოკის სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგეთის გამოსვლისა და 1966 წელს პარიზიდან ნატოს შტაბ-ბინის გაძევების შემდეგ ატლანტისტები პირველად ითათბირებენ საფრანგეთის დედაქალაქში.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარე სხდომებზე განიხილავენ ნატოს ქვეყნების მიერ ბირთვული არსენალების შემდგომი ზრდისა და იარაღის უახლეს სახეობათა განლაგების ვრცელი პროგრამების განხორციელების საკითხებს.

● **ავსტრალია**

მთავრობის გადაწყვეტილება

კანბერა. ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ. პიდენმა განაცხადა, რომ სახბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაციასთან ერთად ავსტრალიის მთავრობამ გადაწყვიტა აღადგინოს ორ ქვეყანას შორის ორმხრივი კულტურული, სამეცნიერო და სპორტული კავშირურთიერთობა.

დადგა დრო ვალიაროთ, თქვა მან, რომ საბჭოთა კავშირთან კონტაქტების შემზღუდავი „სანქციები“ უნაყოფო აღმოჩნდა. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ავსტრალია თვის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან უფრო საქმიან საფუძველზე წარმართავს.

● **იაპონია**

პენტაგონი გეგმავს იაპონიის სახეობის ნავსადგურის გამოყენებას რაკეტული ხანაზო ვემის „ნიუ-ჯერსის“ შედმივი ბაზირებისათვის. ამას იუწყება კიოდოს სააგენტო, რომელიც იმოწმებს იაპონიაში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წრეებს. 32 „ტომაგავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტით და 16 „გარპუნის“ ტიპის რაკეტით შეიარაღებული უდიდესი ამერიკული ხომალდის სახეობაში მუდმივად დამკვიდრების განზრახვა იაპონიის საზოგადოებრიობის ლრმა შეშფოთებას იწვევს.

სურათზე: სახეობაში გამართული მანიფესტაციის მონაწილენი გულისწყრომით ილაშქრებენ ნავსადგურში ბირთვულიარაღიანი ამერიკული ხომალდების შემოსვლის წინააღმდეგ.

საკლესიო ფოტო.

● **გდრ-დასავლეთ ბერლინი**

ეჯაიცე პროვოკაცია

ბერლინი. როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი გამოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინის მხრივ ახალი სიაში პროვოკაციების გამო.

28 მაისს უცნობმა პირებმა შეიარაღებული აქცია განახორციელეს იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის საზღვრის დაცვას. ამავე დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქალაქო რკინიგზის დასავლეთ ბერლინის უბანზე. ტეგელსა და გეზუნდბრუნენის სადგურებს შორის უცნობმა პირებმა ჩადეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. აფეთქება თავიდან იქნა აცილებული.

ეს აქციები, ნათქვამია ცნობაში, მოწმობს დასავლეთ ბერლინიდან მომდინარე პროვოკაციათა რიცხვის ზრდას, რომელთა გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს, ზარალი ადგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კუთვნილი რკინიგზის ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ დასავლეთ ბერლინის სენატი საჭირო ღონისძიებებს განახორციელებს მტრული მოქმედების აღსაკვეთად და პასუხს აგებინებს დამნაშავეებს.

მოგზაურობა

არსებობენ თუ არა დინოზავრები?

სან-ფრანცისკო. ამერიკელი მოგზაურის ჰერმან რეგასტერისის მიერ კონგოს ჯუნგლებში გაკეთებულმა მაგნიტოფონურმა ჩანაწერებმა ფირზე აღბეჭდა წინათ უცნობი ნადირის ღმუილი, იუწყება ასოშიეტედ პრესის სააგენტო. როგორც მოგზაური ამტკიცებს, მან თავის თვალით ნახა 10 მეტრზე მეტი სიგრძის ვეებერთელა რეპტილია, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა 60 მილიონი წლის წინათ გადაშენებულ დინოზავრებს.

რეგასტერისმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მან და ექსპედიციის სხვა წევრებმა 1981 წელს კონგოს ჯუნგლებში მდებარე ტელეს ტბის ჭაობიან და ძნელად მისადგომ რაიონში 32 დღის განმავლობაში ხუთჯერ ნახეს უცნობი ცხოველი და მისი ხმა ფირზე ჩაიწერეს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დაწყებული XVII საუკუნიდან, ამ ადგილებში ნამყოფი ზოგიერთი მკვლევარის დღიურებში გვხვდება ცნობები გიგანტური ურჩხულის შესახებ.

მოგზაურმა „დინოზავრის“ ხმის ჩანაწერი კალიფორნიელ მეცნიერს კენიტ ტემპლინს გადასცა, რომელმაც იგი სხვა ხმაურისაგან გაწმინდა და კომპიუტერული აპარატურის მეშვეობით ჯუნგლების ბინადარი მსხვილი აფრიკული ცხოველების — სპილოს, გორილის, ბეჰემოტის და სხვათა ხმებს შეადარა. ტემპლინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩაწერილი ბგერები დღემდე უცნობ არსებას ეკუთვნის.

ბარიერის იქითა მხარეს...

ეი ზიი იგი, მხრებში მოხრილი, თავჩაქინდრული ბარიერის იქითა მხარეს. ცმუკავს, ცდილობს თავი აარიდოს მოსამართლის, სახლხო მსაჯულების, პროკურორის შეკითხვებს. დეფიციტის გაყიდვის მომენტში დაჭერილი მის „იატაკქვეშა უნივერმაღში“ აღმოჩენილი სამხილითი იგი პასუხს აგებს კანონის წინაშე. განსასჯელთა სკამზეა სპეკულანტი.

— ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, 1918 წელს, ვ. ი. ლენინი სპეკულანტს ვაჭრობის მაროდიორს უწოდებდა, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკურ პროგრესს, ნომერ პირველ მნიშვნელ მტრად მიაჩნდა იგი, — თქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. მახარაძემ. — ლენინის დეკრეტით შექმნილი საგანგებო კომისია, დაუნდობლად ებრძოდა კონტრრევოლუციას, საბოტაჟსა და სპეკულაციას, მაროდიორობას, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე ბოროტი მტრების რიგში აყენებდა.

ჩვენი კანონმდებლობა სპეკულაციის მიმართ ცვლილებებს განიცდიდა. და დღეს იურისტები სპეკულაციას მიიჩნევენ როგორც სახიფათო სამეურნეო დანაშაულს, რომელიც ხელყოფს საბჭოთა ვაჭრობის ინტერესებსა და მოქალაქეთა ინტერესებს. სპეკულანტი ცხოველუნარიანია. რომაული მითოლოგიური იანუსის მსგავსად იგი მრავალსახოვანია: ჩვენ ვხედავთ მას ეზოს ჰიშკართან და სადარბაზოებში, მაღაზიების შესასვლელებთან. „უვნებელი“ პენსიონერის ნიღბით იგი დაძრწის დაწესებულებების დერეფნებში უცხოური ეტიკეტებით აჭრელებული მყვირალა ნივთებით სავსე „საოცრება—ჩანთით“.

სარგებლობს რა ამა თუ იმ სამრეწველო საქონლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობით, ზოგჯერ კი სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის უსინდისო მუშაკებთან ერთად ხელოვნურად ქმნის დეფიციტს, სპეკულანტი, ქორ-ვაჭარი, თავხედურად მდიდრდება ჩვენი ნაოფლარი მანეთით.

წინათ ორჯერ ნასამართლევი შ. შიმშილაშვილი დააკავეს იმ დროს, როცა 380 მანეთი ღირებულების სამრეწველო საქონელს 1145 მანეთად ყიდდა. მოგება—762 მანეთი! მის ბინაში, „იატაკქვეშა უნივერმაღში“, კიდევ 2042 მანეთის საქონელი აღმოაჩინეს. 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მას მიესაჯა შვიდი წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით და ქონების კონფისკაციით.

54 წლის ვ. შაუმიანი ხუთჯერ იყო ნასამართლევი სპეკულაციისათვის. 66 მანეთი ღირებულების თევზის პროდუქტების 400 მანეთად გაყიდვის დროს დაკავებული ვ. შაუმიანი მეექვსეჯერ გაასამართლეს და მიუსაჯეს 6 წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდითა და ქონების კონფისკაციით.

ნ. მაისურაძე ეწეოდა ფაიფურის სერვიზების შესყიდვას, „აუჯობესებდა“ მათ მოორეული არეშიებით, ნახატებით, შემდეგ აყიდდა საკომისიო მაღაზიების საშუალებით. მასთან ერთად სასხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ დახლის მუშაკებიც.

მიმდინარე წლიდან გაძლიერდა სპეკულაციისათვის სასჯელი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 1983 წლის 1 იანვრიდან.

165-ე მუხლის პირველ ნაწილში ახლა ნათქვამია: „სპეკულაცია, საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უმამისოდ, გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უმამისოდ, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე“.

წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით ჯარიმის ოდენობა და გამასწორებელი სამუშაოების ვადა ნაკლები იყო, ქონების კონფისკაციის არ ითვალისწინებდა.

არსებითი ცვლილებები განიცადა **ეროვნული ეკონომიკა.** 19.30 — მხიარული ნოტები.

19.45 — ღღეს მსოფლიოში. 20.05 — მულტფილმი. 20.20 — „მოგონებანი“. ფილმ-კონცერტი. 20.50 — „შეხვედრა თოვლიან მთებში“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — დოკუმენტური ეკრანი. 23.35 — ღღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.45 — მხატვრული ტელეფილმი „მეშკას შვილიშვილი“. 11.00 — მულტფილმი. 11.15 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო“. 12.00 — ზაფხული ტყეში. 12.30 — ესპანური ენა. 13.00 — ფილმი — ბავშვებს. 14.05 — შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში. 14.50 — მხატვრული ფილმი „ჩემი ალერსიანი და ნაზი მხეცი“. 16.35 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ვაჟები. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „სან-დიეგოს პიკნიკი“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — VII სპარტაკიადა. ჩოგბურთი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „სიცოცხლის გარანტიას ვიძლევი“.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრეშია“. 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კრენგოლმი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ჩვეულებრივი ზღაპარი“. 11.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიმფეროპოლი“. 11.55 — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“. 13.25 — აბიტურიენტთათვის ბიოლოგია. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.05 — განცხადებები. 17.10 — ახალგაზრდობისათვის „...და მღერის გიგარა“ (განმეორებით). 17.45 — ბავშვებისათვის „უწვენებს „პიონერფილმი“. 18.10 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ახალი ქალაქი“ და „ქალაქი და წყალი“. 18.30— „ამაგდარი“ პეტრე ყელენტი. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ „ეკონომიური ეკონომიკა“ (8.). 19.30 — ბიზე. ოპერა „კარმენის“ ნაწყვეტები. ასრულებს საქმელეარადიოს სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი გივი აზმაიფარაშვილი. 19.45 — „მოამბე“. 20.15 „ცეროდენას ეკრანი“. 20.40 — ახალგაზრდობისათვის — „დიალოგი ახალგაზრდა დრამატურგსაშა თაბუკაშვილთან. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00— „ვრემია“. 22.35 — საქართველოში კინოსტუდია „მოსფილმის“ ფილმებთან დაკავშირებით მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „ტიხონ ხრენიკოვის გაკვეთილებზე“. 17.20 — განცხადებები. 17.25— მხატვრული ფილმი „ისიკ-ყულის ალისფერი ყაყაჩოები“.

ტელევიზია

2 ივნისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.15 — მ. ბიეშუს კონცერტი. 11.20 — მხატვრული ტელეფილმი „შეხვედრა თოვლიან მთებში“. I სერია. 12.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ოთხმოციანის კომუნისტები. დოკუმენტური ფილმები. 16.35 — რუსული ენა. 17.05 — „ბაუმანელები“. ტელენარკვევი. 17.20 — კონცერტი. 17.50 — მოსწავლეთა შეხვედრა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირთან, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. დ. ლავრინენკოვთან. 18.40 — ბ. ჩაიკოვსკი — თემა და რვა ვარიაცია სიმფონიური ორკესტრისათვის. 19.00 — **მოლიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ეკონომიური ეკონომიკა.** 19.30 — მხიარული ნოტები. 19.45 — ღღეს მსოფლიოში. 20.05 — მულტფილმი. 20.20 — „მოგონებანი“. ფილმ-კონცერტი. 20.50 — „შეხვედრა თოვლიან მთებში“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — დოკუმენტური ეკრანი. 23.35 — ღღეს მსოფლიოში.

ყაბალი

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ბუშინ ტამკენტში დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. მთავარ ფინალურ ჯგუფში (I-VIII ადგილები) ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: უკრაინა-მოსკოვი — 4:6, ბელორუსია-აზერბაიჯანი — 8:0, ლატვია-ესტონეთი — 6:4, საქართველო-რსფსრ — 0:8. ამრიგად, დამთავრდა კიდევ ერთი სასპორტაკიადო ტურნირი, რომელშიც პირველობა მოიპოვა მოსკოვის ნაკრებმა. მოსკოველებმა მთავარ ფინალურ ჯგუფში ყველა მატჩი მოიგეს და 7 ქულა დაგროვეს. მომდევნო ადგილებზე გუნდები ასე განაწილდნენ: 2. უკრაინა — 6 ქულა, 3. ბელორუსია — 4, 4. ლატვია —4, 5. რსფსრ — 3, 6. საქართველო — 2, 7. ესტონეთი — 1, 8. აზერბაიჯანი — 1 ქულა.

დაისაჯნენ...

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის 46-ე საფეხურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები „მბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ (13 მაისი), აგრეთვე, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ (19 აპრილი) შორის მეტად არაკვალიფიციურად, არაობიექტურად, უხეში დარღვევებით იმსაჯეს ა. დუტკომ (ლვოვი) და მ. სტუპარმა (ივანოფრანკოვსკი).

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, ა. დუტკოსა და მ. სტუპარის პერსონალური საკითხი განიხილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ, რომელმაც მ. სტუპარს არბიტრობა აუკრძალა მომდინარე ჩემპიონატის I წრის დასასრულამდე; დგას საკითხი იმის შესახებ, რომ ა. დუტკოს საერთოდ აეკრძალოს უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრათა მსაჯობა.



ვ. მამათელაშვილი

ქართული ვეტერინარიის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ზოოტექნიკურ-საველეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ გიორგის ძე **მამათელაშვილი.**

ვ. გ. მამათელაშვილი დაიბადა 1915 წლის 22 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში. 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტის საველეტერინარო ფაკულტეტი და დატოვეს ინსტიტუტში სამუშაოდ.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს მას მიენიჭა ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1971 წელს ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ვ. გ. მამათელაშვილი 1941-1946 წლებში მუშაობს საქართველოს საველეტერინარო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1946-1952 წლებში საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგედ.

1952 წლის თებერვლიდან 1953 წლის მარტამდე იგი მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილედ; იმავე წლიდან ინიშნება საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში. 1956-1958 წლებში ვ. გ. მამათელაშვილი მუშაობდა საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 1959-1975 წლებში საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორად.

პროფესორი ვ. მამათელაშვილი კადრების მომზადებასთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დარგში. გამოქვეყნებული აქვს 75 სამეცნიერო შრომა.

ვ. გ. მამათელაშვილი გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ვ. მამათელაშვილი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით და სამი მედლით.

შესანიშნავი მოქალაქის, ღვაწლმოსილი მეცნიერის ვლადიმერ გიორგის ძე მამათელაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი; სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ზოოტექნიკურ-საველეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ კავშირის

ეროვნული ეკონომიკის

დროშის ორდენოსანი სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1983-84 სასწავლო წლისათვის მიღებას დღის დასწრებული სწავლების შემდეგ სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე:



აგროსაინჟინრო; აგროსაინჟინრო მელიორაცია; აგროსაინჟინრო საკვებწარმოება; აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა; მცენარეთა დაცვა; მეხილეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია; აგროსაინჟინრო მეგბრეშუმეობა; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოფლის მეურნეობაში; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); მეცხოველეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; ჰიდრომელიორაცია; მიწათმოწყობა; მეღვინეობის ტექნოლოგია; დაკონსერვების ტექნოლოგია; სატყეო-სამეურნეო.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალობებისა და სპეციალიზაციის მიხედვით შემდეგ საგნებში:

ა. აგროსაინჟინრო; აგროსაინჟინრო მელიორაცია; აგროსაინჟინრო საკვებწარმოება; აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა; მცენარეთა დაცვა; მეხილეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია; აგროსაინჟინრო მეგბრეშუმეობა: ფიზიკა (წერა)*, ბიოლოგია (ზეპირი); ქიმია (ზეპირი).

ბ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოფლის მეურნეობაში: მათემატიკა (წერა)*; ბიოლოგია (ზეპირი); გეოგრაფია (ზეპირი).

გ. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; მეცხოველეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; ჰიდრომელიორაცია; მიწათმოწყობა: მათემატიკა (წერა)*, მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი).

დ. მეღვინეობის ტექნოლოგია; დაკონსერვების ტექნოლოგია; სატყეო-სამეურნეო: მათემატიკა (წერა)*; ფიზიკა (ზეპირი); ქიმია (ზეპირი).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ წერითს გამოცდას ქართულ სექტორზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში — თხზულების სახით.

დემობილზებულნი, რომლებიც წარმოადგენენ სამხედრო ნაწილის რეკომენდაციას (ფორმა № 8), ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე: მიწათმოწყობა; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; მეცხოველეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; ჰიდრომელიორაცია; სატყეო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, დადებითი ნიშნების მიღების შემთხვევაში ჩაირიცხებიან პირველ რიგში უკონკურსოდ.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე საშუალო სპეციალური ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს მხოლოდ იმ ერთ საგანში, რომელიც აღნიშნულია გარკვევით. აღნიშნულ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან დანარჩენ საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო შეფასება „ოთხის“ ან „სამის“ მიღების შემთხვევაში, აბარებენ გამოცდას მოცემული სპეციალობისათვის დაწესებულ ყველა დადგენილ საგანში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (რუსული სექტორი); მიწათმოწყობის; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობებზე უკონკურსოდ რეკომენდებული, მედალსნებისა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ, პირველ ორ საგამოცდო საგანში არანაკლებ 9 ქულის დაგროვებით ჩაირიცხებიან ისინი, ვინც საშუალო სასწავლებელი დამთავრა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით, მიღებული აქვს მხოლოდ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება და ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა არ არის 4,5-ზე ნაკლები.

ოქროს (ვერცხლის) მედლით სკოლადამთავრებულნი, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი ერთ-ერთ საგანში ადგენენ მიზეთმოწყობის, სოფლის მეურნეობის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (რუსული სექტორი) სპეციალობებზე, თუ პირველ საგამოცდო საგანში მიიღებენ შეფასება „კარგს“, ხოლო მეორე გამოცდაზე შეფასება „ფრიადს“, თავისუფლდებიან დანარჩენი გამოცდების ჩაბარებისაგან.

მისა